

მანანა ტაბიძე

სამეცნიერო ეტიკეტი და პირის ნაცვალსახელები  
“გეზებისტყაოსანი”

თანამეტროვე ქართულისათვის მეორე პირის მრავლობითის “თქვენ” ნაცვალსახელი სამეტყველო ეტიკეტის უნივერსალური თანმხლები კომპონენტია და ოფიციალურისა თუ ეტიკეტური კომუნიკაციის ტექსტებში აუცილებლად გამოიყენება. მიიჩნევა, რომ ეტიკეტური ფუნქცია მეორე პირის ნაცვალსახელის მრავლობითურმა ფორმამ მოვინანებით შეიძინა, თუმცა სხვადასხვა ენაში ეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით მოხდა. ქართულშიც ამ ნორმამ ჩამოყალიბების საკუთარი გზა განვლო. თუმცა დროითი დინამიკის თვალსაზრისით ეს საკითხი საგანგებოდ შესწავლილი არ არის; ძველი ქართული მწერლობა, და განსაკუთრებით კი “ვეფხისტყაოსანი”, გარკვეულ დახმარებას გვიწევს ამ პროცესის დანახვისა და გააზრების საქმეში.

დავიწყოთ იმით, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში შენობითი მიმართვა ზრდილობითი (ე. წ. თავაზის) კონტექსტისათვის სრულიად ბუნებრივია. საერთოდაც ჰაგიოგრაფიული ტექსტების დიალოგური ნაწილისათვის ხოტბითი, შესხმითი მიმართვები არ არის ტიპური. პირადი საუბრის ამსახველ ტექსტებში ეპითეტებით დატვირთული მიმართვები გვიან ჩნდება და უფრო ენობრივ-კულტურული გავლენების შედეგს უნდა წარმოადგენდეს, ვიღრე ქართული ყოფის ევოლუციის შედეგს. ამიტომაცაა, რომ “შუშანიკის წამებაში” შენობით მიმართავენ ერთმანეთს ხუცესი და დელოფალი შუშანიკი, ვარსკენი და მისი ქვეშევრდომები, ხუცები და ეპისკოპოსები და სხვ. ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციაში მრავლობითური ფორმა მხოლოდ სიმრავლეს აღნიშნავს და არა მოწიწებას (იერარქიულს ან სიტუაციურს), ყოველთვის მხოლობითშია ზმნის ის პირი, რომელიც მიმართვის აბიკეტია, მაშინაც, როლებაც მას საერთოდ არ ახლავს ნაცვალსახელი (“დილებულო მეცენ, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ...” (“გრ. ხანძთელის ცხოვრება”), შდრ., “ლუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო! ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესა, ნუ-უკუე მტერმან, ვითარცა სრულმან, საძოვარი პოოს შენ თანა”.. და მე ვაჩქუ მას: “ეგრჩო არს. მქნე იყავ, მომინე და სულგრძელ” (“შუშანიკის წამება”). შესაბამისად, ამ ტექსტებში იერარქიული მოწიწებისა და პატივისცემის გამოხატვა არა ნაცვალსახელებს, არამედ სხვა ლექსიკურ ერთეულებს ან მთელ სამეტყველო სიტუაციას (ტექსტობრივ მონაცემს) ეკისრება. მაგ., “მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთახეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რადთა ჟე, ლამე თუ განიკურნო” (“შუშანიკის წამება”); ან: “- მაკურთხე, წმიდაო მამაო გრიგოლ. არამთეულ მღდელი ხარ შენ”; “არა მოაკლდეს მთავრობად შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე უამთა...” (“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”).

"ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტში აღწერილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, ძირითადად, სამეფო კართანაა დაკავშირებული, სადაც, ცხალია, თავს იქნის ამ კონკრეტული სოციალური წრის ეტიკეტის თავისებურებები. ეს ვითარება მრავალი კუთხითაა საინტერესო (პოემაში ჩვენ ვხედავთ ჩაცმულობის, ვიზიტის, მეფედ კურთხევის ცერემონიალის, გენდერული ურთიერთობებისა და სხვა სოციალური რეალიების ეტიკეტს). განსაკუთრებულად საინტერესოა საკომუნიკაციო ეტიკეტი, რომელიც ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით მრავალგზის და მრავალფეროვნად არის წარმოლგენილი პოემაში.

ჩვენი ინტერესის საგანი ამ ეტაპზე რუსთაველის პოემაში შენ/თქვენ ნაცვალსახელთა საეტიკეტო ნორმაა. კერძოდ, რა კანონზომიერება ჩანს "შენ" და "თქვენ" ნაცვალსახელების ხმარებაში მიმართვისას: "შენ" გამოიყენება ღმერთისადმი მიმართვაში ("ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰენ სახე ყოვლისა ტანისა, / შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა");

- "შენ" ნაცვალსახელი გამოიყენება კომუნიკაციის მონაწილეთა სოციალური თანასწორობის ვითარებაში;

- მეფეები ერთმანეთს "შენ"-ს ეუბნებიან (ე.წ. საერთაშორისო ურთიერთობებშიც კი);

- "შენ" ნაცვალსახელი გამოიყენება მეორე პირისადმი მიმართვისას მონოლოგურ მეტყველებაში, მაშინაც კი, როდესაც მიმართვის ობიექტს რეალურ ცხოვრებაში "თქვენ"-ს ეუბნებიან (მაგალითად: "ავთანდილსუა მოევონა მისი მზე და საყვარელი;/ იტყვის: "ჩემო, ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მდგმელი?/ შენ არ გახლავ, ჩემი ჩემთვის სიცოცხლეა სანანელი;/ გითხრამცა ვინ, რა მჭირს, ანუ რა ცეცხლი მწვავს, როგორ ცხელი!), თუმცა პირად საუბარში (იმავე თინათინს) თქვენობით მიმართავს: "თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეფურნების"; მინჯურობა ავთანდილსა და თინათინს შორის არღვევს იერარქიულ საზღვრებს, თუმცა საუბრისას კერძო და საზოგადო თემატიკა მაინც გამინჯულია მეორე პირის ნაცვალსახელის გამოიყენების თვალსაზრისით (მაგალითად: ერთსა და იმავე სტროფში ავთანდილი თინათინს ასე მიმართავს: მე რომ თქვენგან მოვისმინე წყალობანი, მედიადა./ ვარდი ჩემი არ დაჭინების, შუქი შენი იეფად ა").

- "თქვენ" ნაცვალსახელი ეტიკეტის ნორმით არასოდეს არ ითანხმებს ზმნას რიცხვში;

- მეფეს ძირითადად "თქვენს" ეუბნებიან;

- მეფე არასოდეს არავის არ ეუბნება "თქვენს" (მრავლობითის გარდა) და ა.შ.;

საეტიკეტო ნორმები ნებისმიერი კულტურისათვისია დამახასიათებელი, და თუმცა ისტორიული გარემოებები ამ ნორმებს ხშირად ცვლიან, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ყოველი კულტურისათვისია ნიშანდობლივი გარეკვეული ეტიკეტური სტაბილურობა. ანუ, ერთი მხრივ, საქმე ვაჟვს უნივერსალიასთან: ზრდილობითობა განისაზღვრება ასაკობრივი ჯგუფების, სქესის, სოციალური ფენების (წოდებრივი იერარქია, ეკონომიკური ნიშნით განსხვავება, განათლების დონეები, სხვადასხვა სარიტუალო გარემოებები, მათ შორის სარწმუნოებრივი იერარქია, შინაური და უცხო, სტუმარ-მასპინძლობა და სხვ.) მიხედვით; მეორე მხრივ კი, ამ უნივერსალიებს სრულიად სპეციფიკურად "შოაქეცეპს" ჟოველი

კონკრეტული სამეტყველო გარემო. სამეტყველო ეტიკეტი ძალიან შეგრძნობიარება ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში ეს შეგრძნობიარობა მყარ გამოთქმებში ინახება: "წალმა გველოს", "ოთხივ მხრივ ჯვარი გეწეროს", "ღმერთმა ხელი მოგომართოთ", "კეთილი იყოს შენი მობრძანება", "კეთილად მოხველ", "გაიხარე" და ა.შ. საკმაოდ შეგრძნობიარება სხვა დანარჩენი ტიპის ეტიკეტური ნორმებიც, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებაში რეალიზებული, რომლებიც გავლენას ახდენს ჟაზოგადოებაზე და ამ ნორმის მეშვეობით მყარდება განსაკუთრებული ურთიერთობები, რომელთა წყალობითაც საზოგადოება ინარჩუნებს წესრიგს, ღირებულებებს, და წარსულის შესახებ მეხსიერებას. ანუ საზოგადოება თავად ქმნის სამეტყველო (და არა მხოლოდ) ეტიკეტურ ნორმას, და მერე კი თავად ხდება ამ ნორმით აღზრდის ობიექტი, ანუ შემდგომში თავად ნორმა ქმნის საზოგადოებას.

ღრმ, ენობრივ-კულტურული კონტაქტები და საერთაშორისო ტენდენციები ოდითგანვე ზემოქმედებდა ეტიკეტურ ნორმებზე (მათ შორის, ენობრივზეც), ამ პლასტებს შორის კულტურული პირველსაწყისის გამოხშირვა და გავლენის ხარისხის დადგენა უდავოდ საინტერესო ლინგვისტური სამუშაოა, და ამ სამუშაოს არცთუ იშვიათად ჰქიდებენ ხელს სპეციალისტები (ლინგვისტები, ეთნოლოგები, კულტუროლოგები). "ვეფხისტყაოსანში" ხშირია მაღალი წრის არისტოკრატის შეხვედრები, მეფეთა და მეფე-დიდებულთა დიალოგები, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ურთიერთობები, მისალმება, დამშვიდობება, მიმოწერა, თხოვნა, განმარტება და სხვ. პოემაში კარგად ჩანს, რომ სამეტყველო ეტიკეტი მეტყველება ყოველი ნიუასის მიმართ, ენა ეძებს და პოულობს ყოველი ცალკეული სამეტყველო სიტუაციის შესაფერის ნორმას, და მათ შორის, ნაცვალსახელურ საეტიკეტო საშუალებებსაც მიმართავს.

ქართულში არის ზრდილობითური კონტექსტის ასაგებად გამოსაყენებელი ე.წ. მაკომპენსირებელი სიტყვები, როგორიცაა: ბრძანე და თქვი, დაჯექი და დაბრძანდი, ხარ და ბრძანდები, გინდა და გნებავს//გსურს, გთხოვ და გვედრები, გეაჭები, დიახ და კი, არა//ვერა...

ამ ლექსიკის ჩართვა სამეტყველო სიტუაციაში, მიმართვის ობიექტის ტიტულისა და სატიტულო ეპითეტის გამოყენება უზრუნველყოფს ეპიზოდის სოციალურ კონტექსტს, მაგალითად:

"ჲე, მეფეო, გავიპარეთ, ძებნად ჩემდა საძებრისად...";

"ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა...";

"გვედრებ, მეფეო, შერმაღინს, მონასა ჩემსა რჩეულსა...".

ზრდილობის ლექსიკა ძალიან საინტერესოა ნებისმიერ ენაში, რადგან ის განსაკუთრებულად ღრმად ინახავს ეთნოკულტურულ თავისებურებებს. ევროპის ენებში ზოგჯერ "შენ/თქვენ" ფორმები გამიზნული არაა, მაგ., ინგლისურში, საღაც ხან წერის დროს მთავრული ასოთი გაღმოიცემა ე.წ. ზრდილობითი "you", ხან კი თავაზის გარემო მიმართვისეული სხვა ლექსიკური კომპონენტებით (პროფესორო, ინჟინერო, "ჲერ", "მუსიკ" (=ბატონო) მიიღწევა და ა.შ.

ისიც საყურადღებოა, რომ მიმართვისეული "შენ"-ის გარდა თვით "მე"-ც არის გარკვეული ეტიკეტურობის მატარებელი. მაღალი იერარქები ხშირად აშბობენ "ჩვენ"-ს (შაგ., ფრანგულ შხატერულ ლიტერატურაში: "ჩვენ, საფრანგეთის მეფე ლულოუკუ...“ ან რუსულში “ჩვენ, ხელმწიფე და

**გბრძანებელი...“).** დღეს ზრდილობითობის ეს ფორმა განსაკუთრებული ყურადღების საგანია სამეცნიერო ენაში: “ჩვენი დაკვირვებით...“ და “ჩემი დაკვირვებით“, “მე ვამტკიცებ“ და “ჩვენ ვამტკიცებთ...“ “მე აღმოვაჩინე“ და “ჩვენ აღმოვაჩინეთ...“ და ა.შ.

როგორც ჰქონდებოდა აღნიშნავს, “ადამიანისთვის ადამიანზე უფრო საინტერესო არაფერია“. და მართლაც, საზოგადოების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების წევრების ურთიერთობებზეა დამოკიდებული. ქართული კულტურა ძალიან მგრძნობიარეა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი საშუალებების მიმართ. შეიძლება ითქვას, ხშირად ჩვენში სწორედ ადამიანური ფაქტორი (ანუ სიტყვის შერჩევა, უსტ-მიმიკა, გულწრფელობა, მგრძნობიარობა...) განსაზღვრავს ხოლმე უაღრესად პრაგმატულ საკითხთა ბეჭს. ეს არ არის ოდენ ქართული მოვლენა, მაგრამ მკაფიოდ დამახსიათებელია ქართული რეალობისთვის. ურთიერთობა ადამიანებს შორის კონტაქტების დამყარებისა და განვითარების რთულ პროცესს წარმოადგენს. “გრძნობები, გულშემატკიცრობა, სიკეთე, თანაგრძნობა და გაეგება — ეს ფასეულობები ქცევის კულტურას უკავშირდება და ზნებას, ესორტიკურ გემოგნებასა და გარკვეული წესების დაცვას ეფუძნება“. უდავოა, რომ შენობით მიმართვა საეტიკეტო სიტუაციაში უფრო ძველი ფაქტია, მაგრამ “თქვენ“ ფორმაც საკმაოდ დიდი ხანია, რაც ამ ფუნქციით გამოიყენება. ის, რაც აღრე ნაცნობობის ხარისხზე მიუთიერებდა, შემდგომში გადააზრებულ იქნა სოციალურ მანძილად; უნდა ვივარაუდოთ, რომ უძველესია ღმერთისაღმი შენობით მიმართვა, მშობლებისაღმი სათქმელი შენ, მიწნურთა, შეყვარებულთა შენ..., როგორსაც მერე გამოეყო სხვადასხვა სოციალური მანძილით დაშორებული სამეტყველო სიტუაცია და ე. წ. ინტიმური “შენ“-ის მიღმა სივრცეში “თქვენ“ ჩამოყალიბდა. საღლეისოდ ეს სივრცეები მკაფიოდაა გამიჯნული.

სამეტყველო ეტიკეტი ყველა ერს აქვს და მიუხედავად უნივერსალური ელემენტებისა, ყველგან არის განსაკუთრებული სპეციფიკა. როგორც ცნობილია, ტაქტი და ტაქტიანობა ეთიკურ ნორმას წარმოადგენს, იგი მოითხოვს მოლაპარაკისაგან თავი აარიდოს შეუფერებელ შეკითხვებს, გამოიჩინოს მოთმინება, კეთილგანწყობა, ზომიერება, საუბარში ჩაურთოს ზრდილობითობის პირობითი ნიშნები (თქვენობით მიმართვა, მოპოლიშექტა, მისლინერუქტა, საკუნძულო გამომხატველი ლექსემები, თავაზის ფორმულები და ა.შ.

აი; რა გვიფეხი გამოიყოფა დღეს **თქვენ/შენ** -ის ეტიკეტური გამოყენების თვალსაზრისით:

- ა) ნაცნობი/უცნობი;
- ბ) ახლობელი/შორებელი;
- გ) ოფიციალური/არაოფიციალური გარემო;
- დ) გულითადი /არაგულითადი;
- ე) ხაზგასმული უზრდელობა/ზრდილობა;
- ვ) ირონიულობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, “თავაზის გარემოს” ერთ-ერთი შემოქმედის ფუნქცია აქვს პირველ და მესამე პირსაც, მაგრამ საკმაოდ შეზღუდულად (“ჩვენ, მეოუ საჭართველოსი“...), ეს თვასება ამ ნაცნობსახელებშია, ძირითადად, შეკრაპეტე-ზერცე საუკერავებელში შეიძინეს.

ნამდვილად არის თუ არა „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით „შენ/თქვენ“ ნაცვალსახელებში უკვე ჩამოყალიბებული სამეტყველო ეტიკეტის ფუნქცია? ვფიქრობთ, რომ არის, რაღაც პომაში ამ თვალსაზრისით გატარებულია გარკვეული პრინციპი, თუმცა ნორმობრივი თვალსაზრისით პროცესი ბოლომდე დასრულებული არაა (ან ტექსტის დადგენისას ბოლომდე არაა გათვალისწინებული ეს ასპექტი). მაგალითად, გარკვეული არათანმიმდევრულობა დაჩნდება ამ კუთხით როსტევან მეფესთან ქვეშვრდომების საუბარში:

„ვაზირთა ჰეთერეს: „შეფეო, რად ჰერძნეთ თქვენი ბერობა?“

ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჭერობა“;

„ზაგას ნუ ჰერძანებთ, მეფეო, ჭერო ვარდი არ დაგჭნობია, თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია;

ხამს განაღამცა საჭმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია:

სჭობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“.

როგორც ვხედავთ, „ჰერძანეთ“ და „დაგჭნობია“ ორივე შემთხვევაში ვაზირთა ტექსტია როსტევანისადმი მიმართული.

ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე შემდეგ სამეტყველო სიტუაციაში:

„დაგილრეჭია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო.

მართალ ხარ: წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,

ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო;

ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჭირიო?“

შენ/თქვენ ნაცვალსახელთა ხმარების თავისებურებებზე მიუთითებს მთარგმნელთა დამოკიდებულებაც საეტიკეტო ნორმის მიმართ და ამ ნორმის სხვა კულტურისათვის მიწოდების სპეციფიკაც. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები, ცხადია, ეტიკეტური ნორმის აღწერისას ძირითადად საკუთარი ეთნოკულტურული იდენტობიდან გამოდიან. მაგალითისათვის განვიხილოთ ერთი ფრაგმენტი და მისი რამდენიმე თარგმანი:

„ვაზირთა ჰეთერეს: „შეფეო, რად ჰერძანეთ თქვენი ბერობა?“

ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჭერობა“;

„ზაგას ნუ ჰერძანებთ, მეფეო, ჭერო ვარდი არ დაგჭნობია,

თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია;

ხამს განაღამცა საჭმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია:

სჭობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“.

ახლა ვნახოთ ამავე ეპიზოდის თარგმანები:

1. „Если роза отцветает, то венец ее сухой,

...

Царь, твоя не гаснет роза, много лет не вянуть ей!

Твой приказ, недобрый даже, доброты других добреи”.

2. “ Изрекли царю визири: “Не терзай себя тоской!

Нёт, не вянет наша роза, не тверди нам, царь, об этом!

Но совет твой, даже худший, не чета другим советам.

Делай так, как ты задумал, коль другой исход неведом.

Пусть воссядет на престоле та, чей лик сияет светом”!

3.“Все ответили, вздыхая: «Речь твоя зачем такая?

Роза, даже отцветая, всех душистей и светлей.

И ущербный месяц ясен. Луч звезды вполне прекрасен,-  
Спор звезды с луной напрасен. Так, о царь, не говори.

От тебя и злое слово — всем нам крепкая основа.

Лик же солнца золотого, дочь твоя, светлей зари.

Дай ей царство, дай царенье. Быть женой ей назначенье”.

ცხადია, ეტიკეტური ნორმები არა მხოლოდ სამეტყველოა, მნიშვნელოვანია გარევეული კულტურისათვის დამახასიათებელი სწავ გამოხატულებებიც. რესთაველის პოემაში შეხვედრის, ადამიანთა მიერ ერთმანეთის მიმართ სიახლოვის, სითბოს, კეთილგანწყობის გამოხატვა ხდება მოქმედებითაც, ეს მოქმედები კი ტექსტობრივ ნიუანსებს უკეთ გვიხსნიან. მაგალითად:

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, სამეტყველო ეტიკეტი ყველა ერს აქვს და მიუხედავად უნივერსალური ელემენტებისა, ყველგან არის განსაკუთრებული სპეციფიკა. ტაქტი ეთიკური ნორმაა, იგი მოითხოვს მოლაპარაკისაგან თავი აარიდოს შეუფერებელ შეკითხვებს, გამოიჩინოს მოთმინება, კეთილგანწყობა; მოვლენა, რომელსაც დღეს სოციოლექტური კოდების სახელით ვიცნობთ, დამახასიათებელია ქველი ეპოქების საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვისაც (David L.Shaul, N.Louanna Furbee, 62). კერძოდ, უმაღლესი წრის არის ტოკირატია ძალიან დაახლოებული იყო სამეფო კართან და მეფისაგან იღებდა ამ სიახლოვის უფლებას; შეიძლება ითქვას, რომ “ტახტსქვემოთა” შიდა იერარქიული საფეხურები უფრო მეტად უსვამდა ხაზს სოციალურ განსხვავებებს;

ეტიკეტის ნაწილი იყო თაყვანისცემაც, გადახვევა და გაღაკოცნაც და სწავ.:

“ყმა შევიღა, თაყვანის-სცა, მაღლი რამე მთასენა:

“ხელმწიფეო, მიკვირს, ქება რად იყადრეთ ჩემი თქვენა”?!  
ან:

“მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაკოცნა ვითა შვილი.

სწავ მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი. არ ვაზრდილი”!

ანუ ერთსა და იმავე წრეს ოფიციალურსა და არაოფიციალურ ვითარებაში სჩვევია სხვადასხვა საეტიკეტო ნორმით მოქმედება:

როსტევანი საკუთარ ასულსაც თაყვანს სცემს, როდესაც ამ უკანასკნელს სკიპტრა უჭირავს და “შეფეთა სამოსელი მოსავს”, ხოლო მონატრებულ სპასპეტსა და გაზრდილს იგი შეიძლება ხელზე ამბორითაც კი მოეფეროს. ხელზე ამბორით შეხვდა როსტევანი სამი წლით სამეფოდან წასულ ავთანდილს:

“გაეგება, მოეხვია, ზედა დასდგა ბირი ხელსა,

აკოცებდა, სიხარულით ცრემლთა ღვრიდა ველთა მრწყველსა”;

აგრეთვე:

“ყმამან მდაბლად მოიკითხა, ზედა დასდგა ბირი ბირსა;

უბრძანა, თუ: “ღმერთსა ვჰმადლობ, შენ თუ ჭირად არა გჭირსა!”

დადგებულთა თაყვანისსცეს, აკოცებდეს, კინცი დირს -ა,

ზარსა სცემდეს, უზაროდა უფროსსა და თუნდა მცირსა.

ცხადია, სამეტყველო ეტიკეტიც მიმართავს ორმაგ სტანდარტს:  
შლრ., “**დაგიღრებია მეუღლე, აღარ გიცინის პირიო**”.

და

“**შეგას ნუ ბრძანებთ მეუღლეო, ჯერ ვარდი დაგჭინობიათ, /თქვენი თათბირი ავიცა, სხვისა კარგისა მწობია**”.

ეტიკეტური ნორმები, მით უფრო სამეტყველო ეტიკეტი, საზოგადოების სოციალურ-კულტურული ფორმირებულობის, სახელმწიფოებრივი ტრადიციის სიმყარისა და ენობრივი კომპეტენციის უმაღლესი საფეხურის მაჩვენებელია. ამ თვალსაზრისით; რუსთაველის პოემა თავისი ეპოქის ქართული საზოგადოების მაღალკულტურულობასა და სოციალურ და საერთაშორისო ლოიალურობას წარმოაჩენს და იმ დროის საქართველოს სოციალურ-კულტურული სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველად გვევლინება.

### დამოწმებული ლიტერატურა

**შოთა რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი”, <http://georgianweb.com/language/geo/shota/index.html>**

**ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?site=localhost&a=p&p=about&c=vertwo&l=ka&w=utf-8>**

**David L. Shaul, N. Louanna Furbee, Language and Culture, 1998? Waveland Press, Inc. Illinois**

**Руставели Ш. Витязь, в тигровой шкуре/ Подстрочный перевод с грузинского (перевод Ш. Нуцубидзе) Издательство «Советский писатель», 1988 г.**

**“Витязь в тигровой шкуре” (Перевод П.А.Петренко) <http://www.russianplanet.ru/filolog/epos/vityaz/text.htm>**

**Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре (пер.Н.Заболоцкий), <http://www.lib.ru/POEEAST/RUSTAWELI/rustaveli.txt>**

**Шеламова Г., деловая культура и психология общения, [http://www.syntone.ru/library/books/content/4714.html?current\\_book\\_page=all](http://www.syntone.ru/library/books/content/4714.html?current_book_page=all)**

**MANANA TABIDZE****SPEECH ETIQUETTE AND THE PERSONAL PRONOUNS  
IN “THE MAN IN THE PANTHER’S SKIN”**

In the modern Georgian “*tkveni*”, plural of the 2<sup>nd</sup> person, a universal component present in official and etiquette bound communications has a guaranteed usage. Above all, norms of etiquette realized in speech have an influence on the society promoting the establishment of a certain type of relationships. These relationships are then responsible for keeping the social order, preserving values and the memory of the past. In other words, the society itself creates its etiquette norms (obviously, along with other norms), and then again, it (the society) turns into an object that is brought up by the established norms, thus, ultimately the norm also creates the society.

Etiquette norms, especially the speech etiquette, are an indicator of social and cultural accomplishment, stability of the state traditions, and of the highest competence in the language. Judging from these standpoints, Rustaveli’s epic poem is a reflection of the high culture of the Georgian society of that time, the best expression of loyalty to social and international ideals, a paragon of social and cultural development of the epoch.